



MES 8 21 0000304391



17/03/2021

### სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი 16/03/2021

სხდომის დაწყების დრო 14:00 სთ

სხდომის დამთავრების დრო 21:20 სთ

საბჭოს თავმჯდომარე - ნინო ოკრიბელაშვილი

საბჭოს მდივანი - დავით ჭეიშვილი

#### სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

**ნინო ოკრიბელაშვილი** - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

**თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის №186 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**დავით ჭეიშვილი** - სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N87 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს მდივანი;

**მანანა სამხარაძე** - სსიპ - ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

**თამარა თორია** - ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

**თეა სიფრაშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი;

**ელგუჯა მელაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

**თამარ ვეფხვაძე** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღოთ მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

#### სხდომაზე დამსწრე პირები:

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:**

**ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

**ანი ბილანიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**სოფიო ქურასბედიანი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**დავით კერესელიძე** - ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისაკადემიური საბჭოს თავმჯდომარე;

**ეკატერინე აზარაშვილი** - ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისწარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>7</sup> მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართალმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის საკითხის განხილვა (10 მარტის გადადებული საკითხი);
3. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის საკითხის განხილვა (10 მარტის გადადებული საკითხი).

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა, რომ დღის წესრიგი დამტკიცებული ყოფილიყო წარმოდგენილი, სახით.

კენჭისყრა:

მომხრე 8

წინააღმდეგი 0

## სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართალმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის საკითხის განხილვა (10 მარტის გადადებული საკითხი);
3. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის საკითხის განხილვა (10 მარტის გადადებული საკითხი).

**1. პირველი საკითხი** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართალმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალმცოდნეობა
2.	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3.	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი, 0421
4.	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
5.	სწავლების ენა	ქართული
6.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
7.	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	30/01/2021

## საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაგილება

. არა

## ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ოკრიბელაშვილმა მიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენელს კითხვით, თუ რამდენად შეესაბამებოდა წარმოდგენილი საჩივარი არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოებსა და რეგულაციებს.

ცენტრის წარმომადგენელმა, ქეთევან ინანაშვილმა განმარტა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, მიღებულ იქნას თუ არა სააპელაციო საჩივარი განსახილველად, ან უარი განაცხადის განხილვაზე. საჩივრის მიღების წინაპირობები

დეტალურად არის განსაზღვრული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანების (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 28<sup>3</sup> მუხლით. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი როგორც წესი მიიღება განსახილველად.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის დებულება განსაზღვრავს სააპელაციო საჩივარზე თანდართულ დოკუმენტაციას, რომელიც უნდა იყოს ცენტრში წარმოდგენილი დაწესებულების მიერ. წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით ნათლად ჩანს, თუ ვის მიმართავს დაწესებულება (იმ საბჭოს დასახელება, რომლის გადაწყვეტილებაც საჩივრდება) და ამავდროულად მითითებულია, თუ რომელი გადაწყვეტილება არის გასაჩივრებული (№50846, 31/01/2021). შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა შემოიტანა სააპელაციო საჩივარი ბაკალავრიატის „სამართალმცოდნეობის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 იანვრის სხდომაზე მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია. გასაჩივრების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ ექსპერტთა დასკვნაში მითითებული იყო სტანდარტების მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამის სრულად შესაბამისობა მოთხოვნებთან, ხოლო აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სტანდარტებით შეფასება დაწესებული იქნა, რაც გახდა პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, ცენტრის მოსაზრებით, საჩივარში ასახულია აკრედიტაციის დებულების 28<sup>3</sup> მუხლის შესაბამისად განსაზღვრული მოთხოვნები. გარდა ამისა, ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა არის დეტალურად აღწერილი და დასაბუთებული, თანდართული დოკუმენტაცია არის წარმოდგენილი სრულყოფილად. დაწესებულებას ამავდროულად საჩივარში წარმოდგენილი აქვს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ არის სასამართლოში გასაჩივრებული. ცენტრმა მიიღო დაწესებულების საჩივარი წარმოებაში, რადგან დაწესებულებისათვის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ინფორმირებიდან არ იყოს გასული ერთთვიანი ვადა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა მიმართა სააპელაციო საბჭოს წევრებს, ემსჯელათ წარმოდგენილი საჩივრის მიღების შესაძლებლობის შესახებ.

სააპელაციო საბჭოს წევრებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი. საბჭოს წევრებმა დაადგინეს, რომ საჩივარი და თანდართული დოკუმენტაცია შეესაბამება აკრედიტაციის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 8**

**წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვეტილება:**

მიღებული იქნეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი.

სააპელაციო საბჭოს წევრებმა, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების" სადოქტორო და „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების საკითხების განხილვა მოახდინეს პარალელური მსჯელობით, თუმცა, საბჭოს მიერ კენჭი თვითოეულ საკითხს ეყრებოდა ცალ-ცალკე.

**2. მეორე საკითხი - ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის საკითხის განხილვა**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები
2.	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
3.	კვალიფიკაციის დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დოქტორი, 0511
4.	კვალიფიკაციის დონე	მერვე
5.	სწავლების ენა	ინგლისური
6.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
7.	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	19/10/2020

**3. მესამე საკითხი - ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის საკითხის განხილვა**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლება
2.	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
3.	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მეცნიერებების დოქტორი, 0111
4.	კვალიფიკაციის დონე	მერვე
5.	სწავლების ენა	ინგლისური
6.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
7.	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	19/10/2020

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაღილება**

. არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

## **ზეპირი მოსმენა**

### **საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინა თავისი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ საბჭოს ექნებოდა საშუალება, გაცნობოდა აკრედიტაციის საბჭოს ოქმებს ორივე საგანმანათლებლო პროგრამისათვის, შესაძლებელია ოქმების ჩანაწერები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, თუმცა, აკრედიტაციის საბჭოს მსჯელობა იყო ერთადერთ საკითხზე მიმართული. ექსპერტთა მიერ „სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში“ პროგრამა იყო დადებითად შეფასებული თითქმის ყველა სტანდარტში, ხოლო „განათლების“ სადოქტორო პროგრამისათვის, ექსპერტთა მიერ აღწერილი იყო გარემოება, რომელსაც შესაძლებელია ხელი შეეშალა პროგრამის აკრედიტაციისათვის. აქ იყო იურიდიულ ნიუანსებზე საუბარი, განხილვის დროს ეს ერთი საკითხი დასახელდა, როგორც პრობლემის არსი.

ამ უკანასკნელთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სააკრედიტაციო პროცესში პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანების რეგულაცია (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 05 იანვრის ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი“), რომელიც არასწორად იყო განმარტებული აკრედიტაციის საბჭოს მიერ. აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, მათ წარადგინეს სადისერტაციო საბჭოს დებულება. აკრედიტაციის საბჭომ განაცხადა, რომ ისინი სრულად ეთანხმებოდნენ დაწესებულებას მსჯელობაში, თუმცა მინისტრის ბრძანების ჩანაწერის შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების დროს ხელი ჰქონდათ შეკრული. აკრედიტაციის საბჭოს განმარტებას დაწესებულება არ ეთანხმებოდა. მინისტრის მე-3 ბრძანებაში არის ჩანაწერი, რომელიც განსაზღვრავს, რომ სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შეფასება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად. ეს არის საკვანძო თემა. აკრედიტაციის საბჭომ ჩათვალა, რომ ერთჯერადობას მათი პროგრამების სტრუქტურის შემთხვევაში ექნებოდა საფრთხე. მათ მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, პროგრამაში გათვალისწინებული არის კვლევით კომპონენტში/კომპონენტებში გარკვეული კრედიტების მინიჭება. დაწესებულება აწესებს ერთგვარ მოთხოვნას, რომ დოქტორანტმა უნდა მოახდინოს დისერტაციის გარკვეული ელემენტის გამოქვეყნება იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში. აკრედიტაციის საბჭოს აზრით კი, აღნიშნული იწვევს მინისტრის მე-3 ბრძანების დარღვევას. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტს დაცვამდე არ ექნება ნაშრომის ნაწილის გამოქვეყნების შესაძლებლობა, ვერ მოხდება მისი დისერტაციის დაცვაზე გაყვანა, თუმცა საწინააღმდეგო შემთხვევაში, აკრედიტაციის საბჭოს აზრით, ხდება მინისტრის მე-3 ბრძანების დარღვევა. აღნიშნული მიდგომა როგორც დაწესებულების წარმომადგენლებისთვის, ასევე სამინისტროსთვის არის სრულიად გაუგებარი, შესაბამისად, მათ ჰქონდათ მსჯელობა, რომ მინისტრის მე-3 ბრძანება აუცილებლად საჭიროებს გადახედვას. ცენტრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროცედურულად შეიქმნება გარკვეული პრობლემები და იმ შემთხვევაში, თუ მე-3 ბრძანება შეიცვლება, ამ პროცესთან მიმართებით ისინი მაინც ვერ გაავრცელებენ ბრძანების ბოლო ცვლილებებს. ამიტომ, დავით კერესელიძის მოსაზრებით, უპირველეს

ყოველსა, უნდა შეიცვალოს მე-3 ბრძანების განმარტება. შესაბამისად, დაწესებულებებს აქვს ერთადერთი გზა, დაარწმუნოს სააპელაციო საბჭო, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ მინისტრის მე-3 ბრძანების ასეთი განმარტება არ შეესაბამება თავად ბრძანების მიზანსა და შინაარსს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის განხილვისას, სხდომას თავმჯდომარეობდა პირი, რომელმაც თავად აღნიშნა, რომ მსგავსი დათქმა იყო არასწორი, თუმცა იძულებულია რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღოს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ სააპელაციო საჩივრით სურთ ჩიხური მდგომარეობიდან გამოიყვანონ აკრედიტაციის საბჭოს წევრები, რომლებიც იძულებულნი იყვნენ მიეღოთ მსგავსი გადაწყვეტილება. ძალიან ცუდია, რომ ამას ამბობს, მაგრამ საბჭოს აზრით გაუგონარი გადაწყვეტილება მიიღეს და ამავე დროს დაწესებულებას შეექმნა პრობლემა, რადგან ორი სადოქტორო პროგრამა ფაქტობრივად გაჩერდა, რადგან ნორმის განმარტებიდან გამომდინარე შეექმნა დისკომფორტი. დაწესებულებას კიდევ მესამე პროგრამა ჰქონდა აკრედიტაციაზე წარდგენილი და აკრედიტაციის საბჭომ, იმ პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია, რადგან აკრედიტაციის საბჭოს განმარტებით, მათ მოიძიეს მე-3 ბრძანებაზე ინფორმაცია, რომ რეგულაცია გადაიხედებოდა, რაც იყო საფუძველი, რომ ეს საკანონმდებლო ხარვეზი აღმოიფხვრებოდა. შესაბამისად, ის იყო ღრმად დარწმუნებული, რომ გამართავდნენ საინტერესო დისკუსიას. მას სურდა, საბჭოსათვის ეჩვენებინა სადისერტაციო საბჭოს დებულება, რათა სააპელაციო საბჭო დარწმუნებულიყო კვლევითი კომპონენტის ერთჯერადად შეფასებაში. დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ ცალსახაა რომ დისერტაცია ფასდება 100 ქულით, ისეთი შეფასებებით, როგორც იყო მოცემული მე-3 ბრძანებაში. დისერტაციაში 60% იწერება და დისკუტაციაში კი - 40%, ესეც არის გაწერილი დებულებაში, განმარტების დაშვება, რომ 100% - დან 100 ქულით აფასებენ დისერტაციას, - ცალსახაა. ამ დროს პრობლემა იქმნება მაშინ, როცა ხდება სტატიის გამოქვეყნება peer review ჟურნალში, აღნიშნული წარმოადგენს მე-3 ბრძანების დარღვევას, მაშინ როცა თავად review გულისხმობს შეფასებას. თუ peer review - ში არ აქვეყნებდნენ და ვინმეს ჰგონია, რომ იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში გამოქვეყნება სხვა არის, ძალიან ცდებოდა. იმპაქტ ფაქტორი peer review-საც გულისხმობდა და მეტსაც. რეალურად, შეუძლებელია მოცემული შეფასების ელემენტის თამაშიდან ამოღება და იმის მტკიცება, რომ დისერტაცია ბოლო წამამდე არავინ არ უნდა ნახოს. თუ ასე ხისტად მოხდება ბრძანების განმარტება, შეიძლება ითქვას, რომ სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაშიც, აღნიშნული უნდა შეფასდეს ერთჯერადად მხოლოდ დაცვის პროცესში მოსმენის დროს და დაწერილი ნაშრომი არავინ არ უნდა შეაფასოს.

დავით კერესელიძის განმარტებით, მანამდე ნაშრომის ხელმძღვანელიც უნდა ნახულობდეს ნაშრომს და გარკვეულ შეფასებებს აკეთებდეს. შემდეგ ვინმემ ხომ უნდა გააკეთოს შეფასება, რომ სტუდენტი დაცვაზე იქნეს დაშვებული. მთავარი პრობლემა აქვთ შეფასების ერთჯერადობაზე, საბჭოზე სხვა პრობლემა არ ყოფილა. მეორე განხილვა, რომელიც მიემდგვნა „განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამას, იქ კითხვა არ დასმულა სხვა საკითხებზე, მარტო ამ საკითხზე ილაპარაკეს. შესაბამისად, „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხილვისას ყველაფერი დადებითად იქნა შეფასებული, შემდეგ 2 ნაწილში დააკორექტირა თვითონ საბჭომ შეფასება, რადგან საბჭოს მხრიდან აღინიშნა, რომ იძულებული იყო შეეცვალა შეფასება, ხოლო „განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამაში უკვე იყო დაკორექტირებული, რადგან მიჩნეული იყო რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება მოხდა მინისტრის მე-3 ბრძანების დარღვევით. ერთადერთი საკითხი, რაზედაც საუბარია, ეს არის შეფასების ერთჯერადობა. სჯობს, რომ მან უპასუხოს სააპელაციო საბჭოს კითხვებს და გაშალონ უფრო საინტერესო მიმართულება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ პირველ რიგში აღნიშნა, რომ ისინი ზოგადად ყოველთვის ეცნობოდნენ დოკუმენტაციას, რომელიც მოწოდებული იყო საჩივრის სუბიექტიდან, მაგრამ ამავე დროს

ისინი კრიტიკულად უყურებდნენ მთელ რიგ შეფასებებს. იგი დაინტერესდა, იქმნებოდა თუ არა დაბრკოლება სტუდენტებისთვის მოცემულ პროგრამებზე, ანუ უჩერდებოდა თუ არა სტუდენტებს სტატუსი აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით. რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამები არის ახალი და პროგრამებზე სტუდენტები არ ირიცხებოდნენ.

საბჭოს წევრმა, თეა სიფრაშვილმა აღნიშნა, რომ მსჯელობისათვის ექნებოდა 2 კითხვა. ამჟამად მსჯელობდნენ თუ არა სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებზე, და არა „განათლების“ პროგრამაზე, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ორივე ერთიდაიგივე შემთხვევა იყო და ორივე პროგრამაზე დაფიქსირებული იყო მე-3 ბრძანებასთან შეუსაბამობა ერთიდაიმავე საფუძვლით. თეა სიფრაშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები განსხვავდებოდა. მე-3 ბრძანებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ პროგრამაზე არ არის წარმოდგენილი (საუბარია აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე), საბჭო არ ედავებოდა ამ საკითხზე. თუმცა რეკომენდაციები ეხება პროგრამის შინაარსს, კურსების შინაარსს, კერძოდ, რა საგნებს უნდა მოიცავდეს, ასევე მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობას; ასევე ბევრი რეკომენდაციაა ადამიანური რესურსების მიმართულებით. მე-2 სტანდარტი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად, მაგრამ ეს რომ მაინცდამაინც შეფასების კომპონენტს ეხება, ასე ცალსახად არ იკითხება. „განათლების“ სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით მითითებულია, რომ პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს მინისტრის მე-3 ბრძანებასთან. ეს არის განსჯის საკითხი, თუ რატომ თვლის დაწესებულება, რომ მხოლოდ ამ პრობლემაზეა საუბარი და ასევე მოუწოდა დაწესებულებას, კიდევ ერთხელ განემარტა შეფასების სისტემა და ქულების გადანაწილების საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ „სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებზე“ ყველა კომპონენტი შეფასებული იყო როგორც „შესაბამისი მოთხოვნებთან“, გარდა მეთოდოლოგიისა და ორგანიზების სტანდარტისა, რომელიც განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“. საბჭოს გადაწყვეტილებით, პირველი სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, ხოლო მე-2 სტანდარტი, რომლის შეფასება იყო „მეტწილად შესაბამისი“, - შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან“. აღნიშნული შეფასება დაეყრდნო სწორედ მინისტრის მე-3 ბრძანების განმარტების საკითხს. დავით კერესელიძის განმარტებით, აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში სხვა რამე წერია. სხდომის მიმდინარეობისას განიხილებოდა მხოლოდ ზემოაღნიშნული საკითხი, ხოლო ოქმში ცენტრის მხრიდან მოცემულია ექსპერტების რეკომენდაციები, რომლებიც საერთოდ არ ყოფილა განხილული საბჭოზე, ეს ცენტრის მხრიდან ცალკე დარღვევის თემაა, თუმცა ეს აქ სალაპარაკო არ იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს გაუზიარა სადისერტაციო საბჭოს დებულება, რომელიც მისი თქმით, უნივერსიტეტის დაფუძნების დღიდან არ შეცვლილა. დებულებაში დეტალურად არის განმარტებული დისერტაციის დაცვის პროცედურა და შეფასების ფორმირება. დაცვის შეფასება უნდა იყოს 40 ქულის მინიმუმ 50%. შესაბამისად, საბოლოო შეფასებაში სადისერტაციო ნაშრომის შეფასება აისახება 3/5, ხოლო დაცვის - 2/5 თანაფარდობით. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე სხდომის დასრულებისთანავე საჯაროდ აცხადებს დაცვის შეფასებასა და საბოლოო შეფასებას. დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ საბოლოო შეფასება „არაადაკმაყოფილებელი“ (41-50 ქულა - insufficienter) ან „სრულიად არაადაკმაყოფილებელი“ (41 ქულაზე ნაკლები - sub omni canone). დისერტაცია დაცულია, თუ საბოლოო შეფასებაა: 91-100 ქულა - ფრიადი (summa cum laude); 81-90 ქულა - ძალიან კარგი (magna cum laude); 71-80 ქულა - კარგი (cum laude); 61-70 ქულა - საშუალო (bene); ან 51-60 ქულა - დამაკმაყოფილებელი (rite). თუ დისერტაცია შეფასებულია „არაადაკმაყოფილებლად“ (41-50 ქულა), დისერტაციის ხელახლა წარდგენა და/ან დაცვის



გამეორება შესაძლებელია მომდევნო 1 წლის განმავლობაში. დისერტანტის განცხადება განმეორებითი დაცვის თხოვნით წარედგინება სადისერტაციო საბჭოს. დაწესებულების დებულებაში მოცემული შეფასება იდენტურია მინისტრის მე-3 ბრძანების. 60 ქულა წარმოადგენს დისერტაციას, ხოლო 40 ქულა დისკუტაციას, ჯამში არის 100 ქულა.

საბჭოს წევრი თეა სიფრაშვილი დაინტერესდა ქულთა გადანაწილებით, ამ შემთხვევაში მოცემულია 40 ქულა, როცა თვითშეფასებაში, დისერტაცია ფასდება 60 ქულით, ეს 20 ქულა სად გაქრა. რაღაც სხვა კომპონენტს ხომ არ აფასებდნენ დამატებით 20 ქულით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 60 ქულა თვითონ დისერტაციის ნაშრომი იყო, ხოლო დაცვა ფასდებოდა 40 ქულით. ჯამი იყო 100 ქულა. დაცვაზე უნდა იყოს 2 შემფასებელი და თუ 15 ქულაზე მეტია შეფასებებს შორის სხვაობა, მაშინ ინიშნება მესამე შემფასებელი. ეს არ იყო მისი მოგონილი, დასავლურ სივრცეში ფართოდ გავრცელებული კულტურა იყო, რომ დისკუტაციის დროს შეფასებული ნაშრომი გადის 100 ქულის ნაწილად.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აქ საუბარია თვითშეფასების დოკუმენტში გაწერილ ინფორმაციაზე. იგი დაინტერესდა, ამ დოკუმენტში იყო თუ არა გაწერილი ინფორმაცია განსხვავებულად.

საბჭოს წევრმა თეა სიფრაშვილმა აღნიშნა, რომ მოძებნიდა თვითშეფასებაში გაწერილ ინფორმაციას, თუმცა დაწესებულებამ ახლა რაც განმარტა, მისთვის გასაგები იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თუ დაუჯერებდნენ, ეს წესი არ შეუცვლია 2013 წლიდან. შეფასება ყველა სადოქტორო პროგრამაზე აქვთ ერთნაირი. ანუ, სადისერტაციო საბჭოს დებულება ყველა პროგრამას ეხებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მოიძია თვითშეფასების ანგარიშში შესაბამისი ჩანაწერი (მე-20 გვერდი, „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ თვითშეფასების ანგარიშში) და აღნიშნა, რომ ეს იყო კითხვის საფუძველი. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ამ პროგრამაზე მე-3 ბრძანებასთან შეუსაბამობის გარდა, რა არგუმენტები ექნებოდათ ექსპერტთა დასკვნაში და ოქმში მოცემული რეკომენდაციების კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკრედიტაციის საბჭოზე სხვა საკითხები/სხვა კითხვა არ ყოფილა განხილული/დასმული. აღნიშნული არის უბრალოდ ცენტრის პრაქტიკა, რომ ოქმში გადაეტანათ პირდაპირ ის, რაც ექსპერტებს ჰქონდათ ასახული დასკვნაში. საბჭოზე სხდომის თავმჯდომარე თავად ამბობდა, რომ საბჭო იძულებულია მიიღოს მსგავსი გადაწყვეტილება. „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების პროგრამაში“ კითხვები იყო დასმული სხვა საკითხებზეც, მაგალითად ხელმძღვანელზე და სხვა გარკვეულ საკითხებზე. ხოლო მეორე საკითხზე (“განათლების” სადოქტორო პროგრამა), განიხილებოდა მხოლოდ მინისტრის მე-3 ბრძანება. დავით კერესელიძის თქმით, სხდომაზე იყო მსჯელობა მაგალითად შემდეგ საკითხზე, რომ პროგრამა არის 180 კრედიტიანი, თუ 60 კრედიტიანი. საბჭოზე ის უხსნიდა ა საბჭოს წევრებს, რომ 60 კრედიტიანი არ არის სადოქტორო პროგრამა და ეს იყო სასწავლო კომპონენტის კრედიტები და არ შეიძლება ჩათვლილიყო, რომ პროგრამა იყო 60 კრედიტიანი. ამაზე შეიქმნა ბევრი უხერხულობა. სამინისტროსთან კონსულტაციის შედეგად გარკვევით, რომ უმჯობესია საკითხი კვლავ დაუბრუნდეს აკრედიტაციის საბჭოს, ამისათვის უნდა მიმართონ სააპელაციო საბჭოს და განუმარტონ შეფასების შესახებ. ხოლო მე-3 ბრძანება შემდგომში უნდა შეიცვალოს. აკრედიტაციის საბჭოს თქმით, აქ საუბარი იყო იმაზე, რომ ფორმალურად კანონი ირღვეოდა. კითხვა იყო დასმული ერთჯერად შეფასებასთან დაკავშირებით, თუ როგორ იყო ერთჯერადობა დაცული, თუ მანამდე კვლევითი კომპონენტის ნაწილი ფასდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მაგალითად მედიცინაში, სამედიცინო გამომცემლობის თანამედროვე სტანდარტი არის სწორედ ეს 2 საყრდენი, peer review და impact factor. ეს მოდის დაახლოებით 2009-2010 წლიდან. ეს არის თანამედროვე სამედიცინო გამომცემლობის საყრდენი, ამის გარეშე არ ქვეყნდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მინისტრი ასეთ სიღრმეებში არ ერევა, მან შეიძლება აქტივით დაადგინოს, რომ დაწესებულებამ „შეიძლება ნაშრომი შეაფასოს ერთჯერადად“, მისთვის წარმოუდგენელია მოთხოვნა - „უნდა შეაფასოს“. რა კავშირი აქვს ხარისხის უზრუნველყოფასთან - ტერმინებს „უნდა“ და „შეუძლია“.

საბჭოს წევრმა თეა სიფრაშვილმა აღნიშნა, რომ განსახილველი საკითხია, თუ რამდენად შეესაბამება მე-3 ბრძანებას დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შეფასების ფორმა და მეორე, შეფასება ერთკომპონენტია თუ არა. მისი აზრით, რუბრიკა კი ჩაშლილია, მაგრამ ეს არის ერთჯერადი შეფასება, რომელიც მოიცავს ორ კომპონენტს, ნაშრომის შეფასებას და დაცვის შეფასებას. დროში შეიძლება გაწერილი იყოს, თუმცა ის პრობლემას ვერ ხედავდა, მაინც ერთი შეფასება გამოდიოდა. მისი აზრით, ეს შეფასება შესაბამისობაში მოდიოდა მინისტრის მე-3 ბრძანებასთან. მე-3 ბრძანება რამდენად სამართლიანია, ამაზე მსჯელობა ახლა არ უნდა სჭირდებოდეს. თეა სიფრაშვილმა სთხოვა ცენტრის წარმომადგენელს, ეპასუხა კითხვაზე, თუ რა იყო სადავო აკრედიტაციის საბჭოზე, იქნებ ჰქონოდა განსხვავებული პასუხი.

საჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს ქეთევან ინანაშვილს, გამოეთქვა თავისი მოსაზრებები და მიეწოდებინა საბჭოსათვის ინფორმაცია.

ამ დროს სიტყვა ითხოვა საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ იურისტს ბოლომდე კამათში ვერ გაყვებოდნენ. ახლა სურს, რომ მის მსჯელობას გაჰყვინ და იმედი იყო, რომ დაეთანხმებოდნენ. მისი აზრით, მე-3 ბრძანება მშვენივრად განსაზღვრავს, რომ რასაც ისინი ამდენ ხანს მსჯელობდნენ, ამ ბრძანებაში წერია - დასკვნითი შეფასების სახით. დასკვნითი შეფასება არ არის საბოლოო შეფასება, მანამდე არის შუალედური შეფასება. შესაბამისად, ის თემები შესაძლებელია იყოს გამოქვეყნებული, მაგრამ, საბოლოო შეფასება არის ბოლო დასკვნის სახით. ასე რომ ის, რასაც საუბრობდნენ, ვინმეს ნაშრომი ჰქონდა გამოქვეყნებული და შეფასებული, ხელმძღვანელის ან კათედრის მიერ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს არის დასკვნითი შეფასება. ეს არის შუალედური შეფასება. დისერტაციაზე როცა პირი მუშაობს, შესაძლებელია უამრავი საკითხი იქნეს შესწავლილი. თემიდან გამომდინარე, გამოქვეყნდეს სტატია თუნდაც სხვადასხვა ჟურნალში, ეს არ ნიშნავს დასკვნით შეფასებას. იგი მე-3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტს ასე კითხულობდა: - აქ წერია დასკვნითი შეფასება, მანამდე არის შუალედური შეფასება. შესაბამისად, შესაძლებელია დაწესებულების შემთხვევაში ჩაითვალოს როგორც შუალედური შეფასებები, და არა - დასკვნითი შეფასებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რაზედაც საბჭოს წევრი საუბრობდა, მე-3 ბრძანებაში იყო ჩანაწერი: დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შემდეგ არის მოცემული, თუ რა შეფასებებს უშვებდა შეფასების სისტემა. საუბარი იყო 100 ქულიან შეფასებაზე. ერთჯერადი დასკვნითი შეფასება კეთდება 100 ქულიდან. ამიტომ, მათი

თხოვნაა, რომ ახალ აკრედიტაციის საბჭოს მისცენ ამ საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა. აქ არ არის მინისტრის ბრძანების პრობლემა, აქ არის წამკითხველის პრობლემა. თუ გვინდა რომ დისერტაცია იყოს, ის უნდა შეფასდეს ბოლოში 100 ქულიდან.

საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, იგი ამიტომ ფიქრობდა, რომ მათი შეფასების სისტემა არ მოდის წინააღმდეგობაში მინისტრის მე-3 ბრძანებასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ერთ-ერთი თანახელმძღვანელი არის ფინეთის ყოფილი განათლების მინისტრის მოადგილე, რომელიც აპირებდა მათთან მუშაობას და რა უნდა უთხრან მას, რომ საქართველოში არსებობს მე-3 ბრძანება და ამიტომ პროგრამა ასეთი სახით ვერ უნდა განხორციელდებოდეს? რაზედაც საბჭოს თავმჯდომარე არ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ ქვეყანაში რა კანონმდებლობაც არსებობს, ის უნდა იყოს გაზიარებული, მიუხედავად ქვეყნების განსხვავებული მიდგომებისა. ახლა არ უნდა ხდებოდეს ცნობადი სახეებით აპელირება. სააპელაციო საბჭოს ჰქონდა 2 გადაწყვეტილების მიღების უფლება: ერთი, რომ დაეტოვებინათ ძალაში აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება და მეორე, - რომ დაწესებულებისათვის მიეცათ საშუალება კიდევ ერთხელ დაემტკიცებინათ აკრედიტაციის საბჭოსათვის მსჯელობის მართლზომიერება.

საბჭოს წევრმა ელგუჯა მელაძემ აღნიშნა, რომ სხვანაირად უყურებდა ამ საკითხს ბიზნესის კუთხიდან. იგი განათლებისა და იურიდიულ სფეროში ვერ შემოვიდოდა, მაგრამ, მათი თვითმიზანი არ იყო ის, რომ მოერგონ მე-3 ბრძანებას. ბიზნესის განმავლობაში მუშაობდნენ ასე, რომ ის კანონები და აქტები, რომლებითაც მუშაობდნენ, შეიძლება კარგი იყო, მაგრამ ცხოვრება მაინც იცვლება, ვითარდება და მათ სჭირდებათ გარკვეული კორექტირება. მეორე საკითხია, როცა გამოდის მინისტრის ბრძანება, თუ რამდენად არის ის შესწავლილი ჩარჩოები მომხმარებლებთან, ადამიანებთან და სპეციალისტებთან, ასევე კომპანიებთან, რომლებიც ეწევიან ამ საქმიანობას. ანუ, ხომ არ ქმნის ბრძანება ბარიერებს, რომ შემდგომ ასე არ იყოს, რომლის წინაშეც ჩვენ დღეს ვართ და ამის გამო ამდენი ადამიანი იხილავს იმას, რომ რაღაც ჩანაწერი არ იყო გაკეთებული და ამან წარმოშვა პრობლემა. ამ პრობლემას ადვილად არ უყურებდა, რადგან ამ პრობლემის მიხედვით ბიზნესი ელოდება გადაწყვეტილებებს, ეს არის დახარჯული დრო, დახარჯული თანხა, ნერვები და სხვა. მით უმეტეს დღეს, როცა ასეთი სიტუაციაა. მეორე საკითხი არის ის, რომ ეს ჩანაწერი, რაც თქვა დაწესებულებამ, არ ნიშნავს შეზღუდვას. მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანებმა დაინახეს, რომ ეს შეზღუდვაა, რაზედაც შეიქმნა პრობლემა. ეს კიდევ სხვა საკითხია, თუ რატომ მაინცდამაინც კრიტიკული მხრიდან შეხედეს საკითხს, როდესაც შესაძლებელი იყო იმ პოზიციიდან შეხედვა, რომ შესაბამისი ყოფილიყო რეგულაციებთან, რომელიც გამოიცა. მესამე საკითხი, - მათ უნდა განაზოგადონ ეს საკითხი, თუ ჩანაწერი არ არის კარგი და ადამიანებს შეუძლიათ ორმაგად და სამმაგად გაიგონ, არ შეიძლება, უნდა დავაკონკრეტოთ. იმიტომ, რომ დღეს თქვენ შეგექმნათ ეს პრობლემა, ხოლო ხვალ სხვას შეექმნება. ამიტომ, მოდით ერთად ვიმუშაოთ ამ თემაზე და სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით გარკვეული მაკორექტირებელი ქმედებები განვახორციელოთ. ამიტომ, მათი ხედვით, შეეძლო განეზოგადებინა ამ კონტექსტში.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა ინფორმაცია, რომ განხილვები უნდა ყოფილიყო ბრძანებასთან დაკავშირებით, თუმცა ცენტრის განმარტებით, მე-3 ბრძანება შეიცვლება და ამაზე ინფორმაცია აქვს პირველი პირებისგან, თუმცა შემდგომში შესული ცვლილებები გავლენას ვერ მოახდენდა უკვე განვლილი პროცესებზე, ანუ არ ექნებოდა უკუქცევითი ძალა.

საბჭოს წევრმა, ელგუჯა მელაძემ აღნიშნა, რომ ამ ფორმატში არ ჯდება, მაგრამ მის ფორმატში ჯდება. მაშინ რა გამოდიოდა, უნდა მოეწვიათ ის, ვინც სწორად კითხულობდა ბრძანებას, რომ არასწორი შედეგი არ დადგომოდათ.

საბჭოს წევრმა, თეა სიფრაშვილმა აღნიშნა, რომ „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭო არ ედავება მე-3 ბრძანებასთან შესაბამისობის პრობლემას, აღნიშნული საკითხები არც საოქმო ჩანაწერშია მოცემული. ოქმში ძირითადად საუბარია პროგრამის სტრუქტურაზე, კრედიტებსა და შეფასების სისტემაზე, ასევე სწავლის შედეგების შესაბამისობაზე, დაშვების წინაპირობებზე, აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა და ესაუბრა დანარჩენ რეკომენდაციებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოზე სტრუქტურაზე როცა იყო საუბარი, იქაც ერთჯერად შეფასებაზე მიმდინარეობდა მსჯელობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინე აზარაშვილმა აღნიშნა, რომ მას უნდოდა ყურადღების გამახვილება ამ თემის პროცესუალურ ნაწილზე. ორივე პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა მოხდა ერთ პერიოდში და ორივე პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭომ უთხრათ უარი. ყველას, ვინც ამ პროცესში იღებდა მონაწილეობას, დარწმუნებული იყო, რომ აღქმა ჰქონდა ასეთი, - ძირითადი თემა, რის გამოც აკრედიტაციაზე უთხრეს უარი, იყო მე-3 ბრძანებასთან შეუსაბამობა. მოცემული პროგრამები წარმოადგენდნენ ახალ პროგრამებს, ასევე ხელახალი აკრედიტაციის გავლა უწევდა უკვე არსებულ პროგრამებს, რომელსაც ჰყავდა სტუდენტები. შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ საბჭო პროგრამას ედავებოდა კანონმდებლობასთან შეუსაბამობის საკითხზე (სტრუქტურა, კვლევითი კომპონენტის ერთჯერადი შეფასება), დაწესებულების აკადემიურმა საბჭომ მიიღო მორატორიუმის გამოცხადების გადაწყვეტილება, რომელიც ოქმთან ერთად მიაწოდეს ხარისხის ცენტრს აკრედიტაციის საბჭოსათვის გადასაცემად. ამის შემდეგ მოხდა მოქმედი სადოქტორო პროგრამის განხილვა. იქაც იდგა ზუსტად იგივე თემა, რომ იყო თუ არა შესაბამისობაში მე-3 ბრძანებასთან პროგრამა, ამ შემთხვევაშიც იგივე საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას. მათ გაითვალისწინეს 2 ძირითადი და ერთი დამატებითი ფაქტორი. მათ განაცხადეს, რომ სანამ არ გადაიხედებოდა მინისტრის მე-3 ბრძანება, გააჩერებდნენ პროგრამებში ცვლილებას და კვლევით კომპონენტში კრედიტებს მიაჩიებდნენ იგივე სისტემით, როგორც აქამდე აჩიებდნენ. მეორე ფაქტორი, ამ პროგრამების აკრედიტაციის მიღების დროს, თავად აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულების ინიციატივით, მიმართეს სამინისტროს ამ თემებთან დაკავშირებით გადახედვაზე. მინისტრის ბრძანების გადახედვასთან დაკავშირებით განხილვები უკვე დაწყებული იყო და ეს განაცხადა აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარემ. გარდა ამისა, მესამე ფაქტორი იყო ის, რომ აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და დაუსვა კითხვა, დაენახებოდათ თუ არა პროგრამის გაჩერება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში როდესაც მასზე ირიცხებოდნენ დოქტორანტები. ამის შემდგომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა რომ პროგრამა იყო საკმაოდ კარგი და თუკი იყო შესაძლებლობა იმისა, რომ გამოყენებული ყოფილიყო მორატორიუმი აკრედიტაციის მიღების მიზნით, ეს უნდა გაეკეთებინა დაწესებულებას. ამის შემდგომ დაწესებულებამ მოქმედ პროგრამაზე, რომელიც გადიოდა ხელახალ აკრედიტაციას, მიიღო აკრედიტაცია. აქედან გამომდინარე, ახლა აქვთ ასეთი ვითარება, - შიდა ჯგუფი არის შექმნილი ხარისხის ცენტრში მე-3 ბრძანების გადახედვასთან დაკავშირებით; ამაში ჩართულია სამინისტროც და კოორდინირებულად მუშაობენ, თუ რა უნდა შეიცვალოს მე-3 ბრძანებაში. დასკვნის სახით შეუძლია თქვას, რომ თუ არსებული პროგრამები დაენანათ იმიტომ, რომ მასზე სტუდენტები ირიცხებოდნენ, ზუსტად ასევე დასაანანია ამავე მიზეზით დაბლოკილი 2 სადოქტორო პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს შეაწყვეტინა საუბარი და აღნიშნა, რომ საჩივარიც ამიტომ აქვთ შემოტანილი. მან განაცხადა, რომ აქ სხვა რაღაცა იკითხა თეა

სიფრაშვილმა და მასაც სურდა, გაემეორებინა იგივე შეკითხვა. ოქმში გაწერილი იყო, რომ საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები: სწავლის შედეგები მოსაყვანია შესაბამისობაში მოქმედი ჩარჩოს კვალიფიკაციების აღმწერთან; საჭიროა მიღების წინაპირობებში დაკონკრეტდეს, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი დაშვებისათვის და სხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ ეკრანზე გააზიარა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა და აღნიშნა, რომ კვლევითი კომპონენტები მოიცავს კრედიტებს, ამ თემაზე იყო საუბარი. მან განმარტა, რომ პროგრამაში მოცემულია კომპონენტები და კრედიტები, პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტის 60 კრედიტს. კვლევითი კომპონენტიც აქვთ ჩაშლილი კრედიტებად და შესაბამისად, მორატორიუმი გამოცხადდა კვლევით კომპონენტზე, რომელიც წარმოადგებდა 5 კვლევით კომპონენტს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს განსაზღვრული აქვს რეკომენდაციები სწავლის სფეროს შესაბამისი საგნებთან დაკავშირებით, აკადემიური პერსონალის რეზიუმეებთან, ასევე სილაბუსებთან დაკავშირებით. მოცემულია, რომ: პროგრამის აკადემიურ პერსონალს ბოლო 10 წლის განმავლობაში არ აქვს გამოცემული არც ერთი სტატია; პროგრამის პერსონალის მონაცემები უნდა იძებნებოდეს QMS მონაცემთა ბაზაში. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, ამ კონტექსტში ესაუბრა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ ისინი ცდილობდნენ, საკითხში გარკვეულიყვნენ, ხოლო დაწესებულება საუბრობდა საკითხზე, რომლის დოკუმენტური მასალა საბჭოს არ გააჩნდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხებზე საბჭოს მიმდინარეობისას არ ყოფილა საუბარი. აღნიშნული რეკომენდაციები მოიხსნა და შეფასდა როგორც „სრულიად შესაბამისი მოთხოვნებთან“. საბჭომ ამ საკითხებზე ექსპერტთა მხრიდან მიიღო პასუხები და მსჯელობაც აღარ ყოფილა. ადამიანურ რესურსში არ არის კითხვები. კითხვები არის პროგრამის სტრუქტურაზე. პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც არის ამერიკელი, მას არ ჰქონდა პუბლიკაციები ბოლო 10 წლის განმავლობაში. საბჭომ ეს განიხილა და თქვა, რომ ამის გამო პროგრამას არ უნდა მიადგეს ჩრდილი. იყო ასევე საუბარი, რომ ზოგიერთ პერსონალს ჰქონდა მომიჯნავე სფეროში პუბლიკაციები. მან ასევე იფიქრა, რომ მასზეც იყო საუბარი, რადგან ის იქნება თანახელმძღვანელი, როცა კვლევა იქნება მომიჯნავე სფეროში. ამიტომ ამბობს, რომ იყო 2 ფაქტორი, კრედიტებს ანიჭებდნენ ცალკეულ კვლევით კომპონენტებში, -ამაზე გამოაცხადა დაწესებულებამ მორატორიუმი, რაც საბჭოს შეფასებით, საფრთხეს უქმნიდა კვლევითი კომპონენტის შეფასების ერთჯერადობას. მას სჯერა, რომ ხვალ იმავს გააკეთებს, რადგან ჰგონია, რომ ეს კარგია. მორატორიუმი იმიტომ გამოაცხადეს, რომ არ ყოფილიყო ბარიერი მედიცინის პროგრამასთან დაკავშირებით. ის არ ამბობს, რომ ეს ცუდია, თეა სიფრაშვილი რასაც კითხულობდა სტრუქტურაზე, ეს ის საკითხია. პროგრამაში ჰქონდა 2 კოლოქვიუმი, რომელიც იყო დისერტაციის ნაწილი; რომელსაც საზოგადოებას აცნობენ და აქვეყნებდნენ და აქვს peer review, - ამ კომპონენტზე იყო საუბარი. მეორე იყო სწავლის შედეგების ფორმირება. შედეგების ნაწილში გააერთიანეს, რადგან მათ ჰქონდათ რეალურად ჩაშლილი იმ კომპონენტების მიხედვით, როგორც იყო ძველი/გაუქმებული კვალიფიკაციის ჩარჩო, რადგან ის 6 კომპონენტი, რომელიც ადრე იყო, მიაჩნია, რომ უფრო კარგია, ვიდრე 3 კომპონენტი. როდესაც ამაზე ცენტრთან ჰქონდათ საუბარი, მათ მისცეს შედარების ცხრილი და აღნიშნეს, რომ არაფერი არ გაუფუჭებიათ, 6 კომპონენტი გააერთიანეს 3 კომპონენტად, სხვა არაფერი არ შეცვლილა. სწავლის შედეგები შეესაბამება დუბლინის დისკრიპტორს, რომელიც არის ბოლონის პროცესის ერთ-ერთი მთავარი დოკუმენტი. უმაღლეს განათლებაში სწორედ ეს დოკუმენტი მოქმედებს.

საბჭოს წევრმა, თეა სიფრაშვილმა იკითხა, შესაძლებელი იყო თუ არა, რომ საბჭოს დაესვა კონკრეტული კითხვები და მიეღოთ შესაბამისი პასუხები. „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ პროგრამისათვის რამდენჯერმე აღნიშნეს, რომ მე-3 ბრძანებასთან შესაბამისობაზე არ არის საუბარი, ეს არც ოქმში იკითხება. ოქმსა და გადაწყვეტილებას უცნაურობა ახასიათებს. ოქმი ამბობს, რომ ექსპერტების რეკომენდაციები საბჭომ გაითვალისწინა და რჩევებში გადაიტანა, გადაწყვეტილებებში ეს ყველაფერი ასახული არ არის და ყველაფერი ისევ რეკომენდაციის სახით არის მოცემული. ალბათ ეს არის ტექნიკური ხარვეზი, რაც გულისხმობს იმას, რომ შეუსაბამობა არსებობს გადაწყვეტილებასა და ოქმს შორის. აღსანიშნავია ასევე, რომ საკმაოდ ბევრი რეკომენდაციაა აკადემიურ პერსონალთან მიმართებით, თუმცა სტანდარტი დადებითად არის შეფასებული. ეს აფიქრებინებს იმას, რომ იფიქრონ საჩივრის დაკმაყოფილებაზე. რაც შეეხება მე-2 სტანდარტს, სადავო საკითხს წარმოადგენს პროგრამის სტრუქტურა და კრედიტებით გათვლა, ვინაიდან არ იკვეთება პროგრამა სამ წლიანია თუ არა, როგორც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით არის განსაზღვრული, სადოქტორო პროგრამა უნდა იყოს არანაკლებ 3 წელი. ხოლო მე-3 ბრძანების მიხედვით, სტუდენტს აქვს უფლება წელიწადში აიღოს 75 კრედიტამდე, შესაბამისად თუ დაწესებულებას პროგრამის მოცულობით გათვალისწინებული აქვს 180 კრედიტი, სწავლის დამთავრება შესაძლებელია მოხდეს სამ წელიწადზე ნაკლებ დროში. ეს იურიდიულად იყო შესაძლებელი. ამიტომ, იგივე მსჯელობა, რომ პროგრამა 3 წლიანია, მისთვის არ იყო ბოლომდე სამართლიანი. სადავო საკითხს ასევე წარმოადგენდა პროგრამაზე მიღების წინაპირობები, რადგან არ არის მოცემული შეზღუდვა კონკრეტულად მაგისტრატურის რომელი კვალიფიკაციის კურსდამთავრებულს აქვს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. მაგალითად, თუ პირს არ აქვს „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ წინა საფეხურის განათლება, ამ პროგრამაზე ჩაბარების შემთხვევაში, პროგრამა ამ პირის საჭიროებებს ვერ დააკმაყოფილებს, და ის სტუდენტი, ვისაც წინარე განათლება აქვს „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებში“, ბევრად უფრო ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს კვლევით კომპონენტზე, რადგან ცოდნის დაშენება უფრო გაუადვილდება.

გარდა ამისა, რეკომენდაციებიდან აღსანიშნავია ის საკითხიც, რომ სწავლის შედეგები და პროგრამის შინაარსი არ არის შესაბამისობაში და ამ პროგრამით შეუძლებელია „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ კვალიფიკაციის დაკმაყოფილება, იმიტომ, რომ ბევრი დარგობრივი კურსი, რომელიც დასახელებულია, საჭიროა იყოს პროგრამაში. ასევე აღსანიშნავი იყო სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანა უკვე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. თუმცა საუბარი არ არის 6 ნაწილად განაწილებაზე თუ 3 ნაწილად წარმოდგენაზე, არამედ, კვალიფიკაცია ახალი კლასიფიკატორით აქვთ მინიჭებული, ხოლო სწავლის შედეგები ძველი კვალიფიკაციების ჩარჩოთი არის შედგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემულ რეკომენდაციებს დაწესებულება დარღვევად არ მიიჩნევს. რაზედაც თეა სიფრაშვილმა მიუგო, რომ დარღვევა იყო მისი მოსაზრებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ეკატერინე აზარაშვილმა აღნიშნა, რომ კვალიფიკაციების ჩარჩოს ჰქონდა დანართი, რომელიც ითვალისწინებდა, რომელ პროგრამას რა ვადაში ჰქონდა შესაბამისობის მოყვანა დაგეგმილი. ამ პროცესის მიზანი არის განათლების ხარისხის განვითარება, მათ შორის, იმ საბჭოების განვითარების მიზნითაც, რომელიც ცენტრის ბაზაზე არის შექმნილი. ნებისმიერ საბჭოს აქვს იმის დისკრეცია, რომ ხარისხის განვითარების კუთხით მიიღონ გადაწყვეტილებები. შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭოსაც შეუძლია, რომ თუკი თვლის, რომ ეს არის საფრთხე, ამ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტისათვის, დაწესებულებას გადაწყვეტილებაში უნდა ჩაუწეროს, თუ რა გააკეთოს განვითარებისათვის. ასევე ხარისხის ცენტრს აქვს მონიტორინგის ბერკეტები და კიდევ აქვს ბევრი ბერკეტი, თუ როგორ უნდა გააკონტროლოს განათლების ხარისხის განვითარება. ექსპერტთა ჯგუფი იმიტომ მოდის

დაწესებულებაში, რომ რაც შეიძლება მეტი რეკომენდაცია მიიღოს დაწესებულებამ ექსპერტებისგან, რომელსაც გაითვალისწინებდნენ ამ პროგრამის განვითარების მიზნით. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებთან დაკავშირებით, ისინი პრობლემას ვერ ხედავდნენ. ორივე პროგრამასთან მიმართებით ექსპერტებს ჰქონდათ გაცემული რეკომენდაციები და აკრედიტაციის საბჭოს მხრიდან, გადაწყვეტილების მიღების საფუძველი იყო მინისტრის მე-3 ბრძანებასთან შეუსაბამობა. საბჭოს თავისი დისკრეციის ფარგლებში შეეძლო სხვა ტიპის საშუალება გამოეყენებინა, - პროგრამა კი არ დაებლოკა, არამედ პირიქით, მიეცა განვითარების შესაძლებლობა. საბჭოს ჰქონდა იმისი უფლება, რომ მიეცა დაწესებულებისათვის საშუალება, მე-3 ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანის რეკომენდაცია გაეცა, ასევე მიეთითებინა სხვა დარგობრივი რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, „განათლების“ სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით გამოეთქვათ ასევე მოსაზრებები. ამ პროგრამას იყო საკმაოდ რეკომენდაციები, რომლებზეც შეიძლებოდა მსჯელობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამები არის სტრუქტურირებული და თითო სემესტრში ხდება 30 კრედიტის ათვისება. ყველა კომპონენტი არის თანმიმდევრულად ასაღები, შესაბამისად მარტივი ლოგიკით საჭიროა 6-ზე გადამრავლება. მინიმალური ვადა, თუ დოქტორანტი ყველა კომპონენტს ყველა სემესტრში წარმოადგენს, არის 6 სემესტრი. პროგრამა ფიზიკურად არ იძლევა 75 კრედიტის აღების შესაძლებლობას, რადგან კომპონენტები არის თანმიმდევრულად ასაღები. აქ საუბარი იყო იმაზე, რომ კრედიტი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ წლები ყოფილიყო მითითებული, თუმცა მათ ჰქონდათ საკანონმდებლო ორგანოსთან საუბარი, რომ ეს მიდგომა სასწრაფოდ იყო შესაცვლელი. განათლების სამინისტროს აქვს მუშაობა დაწყებული ამ თემაზე. მათ პროგრამაზე დისერტაციის დაცვა 3 წელიწადზე ადრე ვერ მოხდება.

რაც შეეხება სხვა კომპონენტებს, „განათლების“ სადოქტორო პროგრამაშიც მოცემულია სტრუქტურულად იდენტური პროგრამა, სწავლის შედეგებიც იდენტურად არის გაწერილი და ჩაშლილია ექვს კომპონენტად, რაც რომანტიკის ნაწილია, მას მოსწონს ეს 6 კომპონენტად ჩაშლა და არ ჰგონია, რომ აღნიშნულს აქვს პრინციპული მნიშვნელობა, - ანუ იქნება ექვსი თუ სამი. მთავარია, რომ ცოდნა და გაცნობიერება არის წარმოდგენილი. უნარებიც ანალოგიურად ჩაშლილია ნაწილებად, რაც ასევე არ უნდა წარმოადგენდეს პრობლემას. ხოლო ღირებულებების ტერმინს გამოიყენებდნენ თუ არა, ამაზე დამოკიდებული არ უნდა იყოს, თუ რამდენად კარგია პროგრამა. ისინი ამახვილებდნენ იმ საკითხებზე ყურადღებას, რამაც მსჯელობა გამოიწვია, დანარჩენი საკითხები, არ იყო განსჯილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მიღების წინაპირობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ „სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში“ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით იყო მსჯელობა, რამდენად შეიძლება ყველა კვალიფიკაციის კურსდამთავრებული ერთგვაროვანი დაშვების წინაპირობებით მოექცეს ერთიან სტრუქტურირებულ პროგრამაში. საბოლოო ჯამში საკითხი უნდა იდგეს ასე, რამდენად ღირებულია სადოქტორო ნაშრომი. თუ ნაშრომი სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლის, თუ სწავლის შედეგები და კვლევის შედეგები იმდენად გენიალურია, რომ სტუდენტი დაიმსახურებს დოქტორის კვალიფიკაციის მინიჭებას, პრეტენზია არ ექნებოდა მიღების წინაპირობებთან მიმართებაში. საუბარი იყო იმაზე, რამდენად არის ფიზიკოსი ისე მომზადებული, როგორც ბიოლოგი. 21-ე საუკუნეში არ ღირს ამაზე საუბარი, როცა საკითხი ეხება ინტერდისციპლინურ კვლევებს, ეს დასაშვებია, მაგალითად: ფიზიკოსი შეიძლება არანაკლებ კარგად იყოს ჩართული პროგრამაში.

საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ოქმსა და გადაწყვეტილებაში ნაკლებად არის მსჯელობა მესამე ბრძანებასთან დაკავშირებით და ძირითადად საუბარია განსაზღვრულ რეკომენდაციებზე. ხოლო გადაწყვეტილებებში და რეკომენდაციებში, სულ ჩამოთვლილია

ისეთი საკითხები, რომლებიც ძალიან შორსაა მე-3 ბრძანებიდან. დაინტერესდა, თუ რითი აიხსნება ეს, რატომ არ გაამახვილა საბჭომ ამ საკითხებზე ყურადღება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არსებობს სხდომის აუდიო ჩანაწერი, სადაც სრულიად მოცემულია საბჭოს მიმდინარეობა, თუმცა ოქმში აღნიშნული სწორად არ არის ასახული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე მიმართა საბჭოს წევრებს რომ ისინი ვინც ფიქრობდნენ, რომ პროგრამასთან დაკავშირებით არსებობდა რაიმე პრობლემა და არ აპირებდნენ მის განხილვას - ეს ნათლად და პირდაპირ დაეფიქსირებინათ. პირველი 10 წუთის განმავლობაში აღნიშნულის გამო დამატებული საუბარიც იყო დაწესებულებასა და საბჭოს წევრებს შორის. ეს მათთვის შეიძლება უცნაური და შეურაცხმყოფელიც ყოფილიყო. ამავე დროს საბჭოს წევრებმა თქვეს, რომ წესი იყო არარაციონალური და შესაბამისად, მიუღებელ წესზე დაყრდნობით იძულებულნი არიან მიიღონ გადაწყვეტილება, რადგან სხვანაირად ისინი ვერ ახერხებდნენ კანონის განმარტებას. დაწესებულებას აქვს იმის რწმენა, რომ ახალი საბჭო სწორად მოახდენს კანონის განმარტებას და იქნება გაგებული ის, რომ მინისტრის აქტში მიუღებელი და არასწორი არაფერი არ წერია. უბრალოდ ის იქნა არასწორად გაგებული.

საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, მოუწევდათ არა მაგისი მტკიცება, არამედ, პროგრამის შესახებ საუბარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თუკი იურისტი შეძლებდა კვლევის დადებას, რატომ უნდა შეეშალოს ხელი დაწესებულებას; რაზედაც თეა სიფრაშვილმა მიუგო, რომ ამისათვის პროგრამა უნდა სთავაზობდეს სტუდენტებს სერვისებს, რის შესაძლებლობასაც ეს პროგრამების არ იძლევა, ამ პროგრამების სტრუქტურა არის იდენტური და ზედმეტად სტრუქტურირებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კვლევის მეთოდებში მიმოიხილება საკითხები სასწავლო კომპონენტის ფარგლებში. პროგრამაში როგორ უნდა ჩაწეროს, მაგისტრატურიდან ვინმეს რა სასწავლო კურსი დასჭირდება გასაძლიერებლად. ეს არის ინდივიდუალური და კვლევასთან არის კავშირში. თუ პირს მომზადების კონტექსტში სჭირდება ცოდნა, მას აქვს კვლევის კონტექსტში ხელისშეწყობა. შეიძლება მიზანშეწონილი გახდეს, რომ პროგრამის კონტექსტში საჭირო იყოს სხვა დამატებითი დარგობრივი კურსების აღება. ეს მაინც რეკომენდაციის დონეა და თანაც რომანტიული რეკომენდაციის დონეს წარმოადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს და მიმართა საბჭოს წევრებს, რომ თუ კითხვები არ აქვთ შესაძლებელია გავიდნენ საათობრივად.

15:30 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება;  
სხდომა განახლდა 15:55 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები;**

**მომხრე - 8**

**წინააღმდეგი - 0**



საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს აკრედიტაციის საბჭოს.

### **გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტისა და 28<sup>7</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 4**

**წინააღმდეგი - 4**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს ამ შემთხვევაში, რა გადაწყვეტილება დგებოდა აკრედიტაციის დებულების თანახმად, რაზედაც ქეთევან ინანაშვილმა განმარტა, რომ აკრედიტაციის დებულების შესაბამისად (მუხლი 28<sup>7</sup>, პუნქტი 2), გადაწყვეტილება მიიღებოდა ხმათა უმრავლესობით; შესაბამისად, ვინაიდან, კენჭი ეყრებოდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საკითხს, ამ შემთხვევაში, ვერ მოგროვდა ხმათა უმრავლესობა და ვერ იქნება საკითხი დაბრუნებული აკრედიტაციის საბჭოსათვის.

აკრედიტაციის საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა თამარ მამსიკაშვილმა.

საბჭოს განხილვას შემოუერთდა ცენტრის დირექტორის მოადგილე ლაშა მარგიშვილი, რომელმაც ასევე აღნიშნა, რომ აკრედიტაციის დებულების მიხედვით, ხმათა უმრავლესობით მიიღება ერთ-ერთი გადაწყვეტილება: - აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების საკითხის გაზიარება, ან აკრედიტაციის საბჭოსათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნება. მან ისაუბრა საბჭოების მუშაობის პრაქტიკაზე. როცა ხმები იყოფოდა, გადაწყვეტილება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რას დააყენებდა საბჭო კენჭისყრაზე.

საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა იკითხა, თუ რამდენად იყო უფლებამოსილი საბჭო, რომ ხელახლა ეყარა კენჭი, როცა საბჭოს ერთ წევრს უკვე დატოვებული ჰქონდა შეხვედრა.

ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ ახლა უკვე ახლიდან კენჭისყრა აღარ იყო შესაძლებელი, რადგან ის შემადგენლობა, რომელმაც საკითხს უყარა კენჭი სრულად უნდა ყოფილიყო საბჭოზე წარმოდგენილი.

საბჭო შეთანხმდა, რომ ცენტრის მოსაზრება გაეთვალისწინებინათ და გამოეცხადებინათ შესვენება და 20:30 საათზე განაახლებდნენ საკითხის განხილვას და შესაბამისად, კენჭისყრა შედგებოდა ახლიდან.

სხდომა განახლდა 20:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 6**

**წინააღმდეგი - 2**

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს აკრედიტაციის საბჭოს.

### **გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტისა და 28<sup>7</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით კერესელიძემ კითხვით მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს, თუ რატომ არ ემხრობოდა იგი საბჭოს უმრავლესობის პოზიციას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკმაოდ ბევრჯერ გაჟღერდა კითხვები დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა პასუხები იყო ძალიან ზოგადი და არაარგუმენტირებული. ძალიან კარგია, რა თქმა უნდა, უცხოელი პარტნიორის არსებობა, თუმცა დავა მიდიოდა იმასთან დაკავშირებით, რომ სემინარი იყო „ცარიელი“. „განათლების“ პროგრამასთან დაკავშირებით იყო საკმაოდ ბევრი შენიშვნა, თუმცა დაწესებულებას არგუმენტირებული პასუხები არ გაუცია სხვადასხვა პუნქტის მიხედვით.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით კერესელიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამა იმაზე რომანტიული იყო, ვიდრე ეს მათ წარმოედგინათ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რომანტიზმზე მეტად სადოქტორო პროგრამას ესაჭიროება პრაგმატიზმი. გარდა ამისა, სემინართან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე იყო გარკვეული შეკითხვები და შენიშვნები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მას შეეძლო თავად ესაუბრა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დამკვიდრდა სემინარი საქართველოში და აღნიშნა, რომ უცხოური პრაქტიკა იმდენად მოეწონა, რომ საქართველოში ჩამოსვლისთანავე მოახდინა მისი დანერგვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ აკრედიტაციის საბჭოზე მსჯელობისას გამოიკვეთა, რომ აუცილებელია ჩანდეს სემინარის შინაარსი, რაზეც თავად საბჭოს თავმჯდომარემ და სხვა წევრებმაც აღნიშნეს, რომ შეუძლებელი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა საკმაოდ დიდი რაოდენობის მასალა, სადაც აღნიშნული იყო განსახილველი საკითხები და მეთოდები, რაზეც აკრედიტაციის საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ ზოგადი კვლევის მეთოდები საერთო იყო როგორ განათლების, ასევე სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დარგებისათვის, რაზეც არავინ დაობდა. კამათი იყო იმაზე, რომ სადოქტორო დონეზე „განათლების“ მიმართულებით სპეციფიკური საკითხები უნდა ყოფილიყო პროგრამაში შეტანილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საუბარი იყო კვლევის მეთოდებზე. რაც შეეხება სემინარს, მასზე შენიშვნა შეუძლებელია ყოფილიყო, რადგანაც სემინარი სხვა სტილის კომპონენტია. დავით კერესელიძემ ასევე აღნიშნა, რომ სხდომის შედეგი საკმაოდ სასიხარულოა და საბედნიეროდ ისეთია, რომ მათი სიმართლისათვის და სამშობლოს გადარჩენისათვის ბოლომდე უნდა იბრძოლონ. საბჭოს წევრის ელგუჯა მელაძის საყურადღებოდ ამბობს, რომ მოცემულმა პროცესებმა საკმაოდ დააზარალა დაწესებულება ფინანსურად. მათ დათვალეს, რა ხარჯი ჰქონდათ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრთან მიმართებაში და უკუგება იმასთან შედარებით არის არათუ არათანაზომიერი, საერთოდ წარმოუდგენელიც კი ისე, რომ ისინი საერთოდ იმაზე დაფიქრდნენ რამდენად უღირთ საერთოდ აკრედიტაციის პროცესების საქართველოში გაკეთება მომავალში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის ამ თემაზე პირდაპირ ამბობს და ამ შემთხვევაში მარტო არ არის. საერთოდ ბევრი დაწესებულება ფიქრობს იმას, რომ საერთოდ, ძალიან ბევრი პროცესის გარეთ გატანა ჯობია, რადგან რეალურად, გულწრფელად საუბრობს და მას სტკივა როცა ამას ამბობს - ცენტრის სახელიდან დაწყებული და საერთოდ, ცენტრის არსებობით დამთავრებული.

დავით კერესელიძემ გაიხსენა ის პერიოდი, როცა მარტო იმიტომ მივიდა იმ სისტემაში, რომ აკრედიტაციის სისტემა, რომელიც სამინისტროში ფუნქციონირებდა, უნდა გაუქმებულიყო. სახელიდან დაწყებული, სტრუქტურითა და იდეით დამთავრებული, ეს იყო მისი იდეა. მაშინ მოუწია იმჟამინდელ ხელმძღვანელობასთან სრული ომი, რომ ეს იდეა განხორციელებულიყო. ის დღეს ამას ხშირად ნანობს, რომ ამ სისტემაში, ასეთი ფორმით ჰქონდათ სტრუქტურა შენარჩუნებული. მან ასევე აღნიშნა, რომ მადლობელი იყო, რომ ამ პროცესით მიეცათ შანსი პროცესის გაგრძელების, წუხს, რომ ამაზე მოუწია მსჯელობა, იგი არ ფიქრობს, რომ რეალურად საქართველოში ის თემები, რაზედაც საუბრობდნენ, სამსჯელო უნდა გამხდარიყო. იმედს იტოვებდა, რომ თუ არავინ იბრძოლებდა სამართლიანობისთვის, სამართლიანობა არ იარსებებდა.

დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის პროგრამის სააპელაციო საბჭოზე განხილვა საკმაოდ დიდი თანხებთან იყო დაკავშირებული. „სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში“ დოქტორანტი რომ უნდა მიიღონ, მარტო ერთი ლაბორატორიის ღირებულება იყო მილიონ ევროზე მეტი. ზოგ ადამიანს შეიძლება ჰგონია, რომ დაწესებულებას ამ შემთხვევაში ჰქონდა კომერციული ინტერესი, თუმცა მოცემული შემთხვევა წარმოადგენდა ქვეყნის ინტერესს და რწმენა იმისა, რომ ამ ქვეყანაში შეიძლება სერიოზული კვლევები გაკეთდეს. თანაზომიერებაზე იმიტომ წუხდა, რომ მათ მიღეს ის, რომ 6 თვის განმავლობაში,

საკითხი ინსტანციებს შორის განიხილება იმისათვის, რომ გაარკვიონ, რა იგულისხმეს მე-3 ბრძანების შეფასების ერთჯერადობაში. იმის გამო, რომ ვიღაცას დაესიზმრა, რომ დაწესებულებამ მე-3 ბრძანება დაარღვია, ინსტიტუციამ დაკარგა ერთი წელი. დაწესებულებას აქვს საკმაოდ კარგი ლაბორატორიები, ეს არა მარტო მათთვის არის, არამედ ყველასია. ლაბორატორიები არის უახლესი აღჭურვილობით. თუმცა აღნიშნული დაკეტილია, იმის გამო, რომ არ ჰქონდათ პროგრამის განხორციელების უფლება. დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ გადაუხადა საბჭოს წევრებს მადლობა. მის აღქმა არის ის, რომ იგი ერკვეოდა რაღაც საკითხებში, და მისი აზრით, ისინი იყვნენ აბსურდის თეატრში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოისმინა დაწესებულების შეფასებები დაწესებულების საპირისპირო დასკვნების გაცხადებისას. როდესაც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს იყო „სრულიად მიუღებელი გადაწყვეტილება“, - ეს მათი უფლება იყო შეეფასებინათ, თუ ახლა ისინი ჩათვლიდნენ, რომ თავად მისი და დავით ჭეიშვილის განსხვავებული გადაწყვეტილება იყო არასწორი - ესეც მისი თმენის ვალდებულებაა.

21:20 საათზე სააპელაციო საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ოკრიბელაშვილი ნინო

ნ. თეთრაძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი / სააპელაციო საბჭო  
მდივანი  
ჭეიშვილი დავით

